სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაზეთი თბილისში და გარეშე ადგილებში:	გაუზავნელთ:
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა — 3 —	— 2 მ. —
სამი თვისა — 1 მ.	— 1 მ —

მესუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამბ. (ბუბელიარის) სტამბაში, ხერგიეის ქუჩაზე, ხატისოვის სახლში. თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *В Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко (Дубельиара-*

№ 7 შაბათი | V | 30 აპრილს, 1872 წ.

შინაარსი

დედა-მიწა: —დედამიწის შესწავლა,—მცხოვრებლების რიცხვი დედამიწაზე. —როგორ უნდა გაარჩიოს მიმკვიდარებული კაცი მოჩვენებისგან? —სილარალიდან: «დროების» კორესპონდენცია.—ახალ ალნო შოლა.—კავკასიის ტეხნიკური საზოგადოებისა.—მეფეველებთ ტელი ჩვენში.—

ადწერა დედა-მიწისა

დედა-მიწის შესწავლა. დედა-მიწას ადწერაზე ადრევე გვქონდა ლაპარაკი. იმ საუბარში ბევრი რამ კარგი და ტრამის გამოდგომელი, რასაკვირველია გაუნათლებელი მეითხველისთვის, ალბგში იყო. იგრამ იმიტომ, თუ დედა-მიწა როგორ შეასწავლეს მეცნიერებმა, რა საშუალებით, რა ადენი მეზობელები ყოფილან და რამდენი საუკუნეობა ერის დედა-მიწაზე; რამდენი ენებიდან და ბიბლიან, —ეველა ამ ეგებზე ჩვენ იმ ერა გვთქვამს რა და ამიტომ, მგონი, ერ იქნება ურიგო ამ კითხვების მოკლედ განხილვა. რომ შეეკმაროთ ეწინდელი საუბარი დედა-მიწაზე.

ბევრ რამდენიმე ათასი წელია, რაც მეცნიერი და სწავლული, კაცები სხვა და სხვა საშუალების შეწყობით ცდილობდნენ, რომ როგორმე შეესწავლათ დედა-ეიწა. ეს ჭკვიანი კაცები ადგენებდნენ თვალ-ყურს ჭეშმარიტებას, მის მოქმედებას და განვლენას ეტზე და სხვა ცხოველებზე და სიკვდილზე, ადგენებდნენ თვალ-ყურს ტეტლს, წყალს,—ღამის და დამის შეცვლას; ზღვის ტალღების მასვლას და მოსვლას; ადგენებდნენ თვალ-ზაფხულის სითბოს და ზამთრის სიცივეს,—ერთი სიტყვით ამ ჭკვიანმა კაცებმა ერა გაუმეორა, რომ თვალ-ყური არ დევნებინოთ, ყველაფერ შესანიშნავ მოვლენას აკვირდებოდნენ; ყველა მოვლენის მაზეზების ჰოვნას ცდილობდნენ; ეს გონიერი კაცები აკეთებდნენ დიდრონ დურბინდებს; ამათი ასინა უტეტრდნენ ცას, რომ ასლო წარმოდგინოთ და კარგათ გეგმა-ალაგი ვარსკვლავებ; რამდენჯერმე ამოგზავრეს და შემოკრეს დედა-მიწას. გარეშემო, ისრიდნენ მიწას და შიგ გასაბინაკეთ ჩადოდნენ; ზღვის და მდინარეების ბერეზე ჩადოდნენ,—რაც კ. ეიგეს დედა-მიწაზე ამ გონიერმა კაცებმა ეადასტეს თავის ჩამამავლობაზ. წინა ბერეულად ეს გონიერი კ ცები, რადგან ამ იყო წერა, ან უკეთ ვსთქვათ ბეჭდვა ნაწერებისა, ტოდნა დედა-მიწაზე გადადოდა ხალხში ზეპირსიტყვაობათ, მერე ხელთ ნაწერი წაიკითხეთ და ბოლოს დაბეჭდილი წიგნებით. ამ გონიერი კაცების ჩამამავლობამ შეასწავლა კარგა რაგიანად ყველა ის რაც იმათ დროებამდის გაიგეს გონიერმა კაცებმა. ამათ დაიწყეს თავისი მზრდა ეამოკვლევა დაშესწავლა დედა-მიწისა. უწინდელ ეამოკვლევებს კარგა ბლომად დაუმატეს და ეს შეკრებული და დამატებული სწავლა დედა-მიწაზე ამათაც გადასცეს შემდეგ ჩამამავლობას. ამათ იმუშავეს, იშრომეს და ეგრეთვე გადასცეს სხვებს და ეი ამ გვარად ნელ-ნელა მოდ ოდ წინ დედა-მიწის და ბუნების შესწავლა. ტოდნეები დედა-მიწაზე გადადნენ, სწავლულმა კაცებმა ეს ტოდნეები მიწაზე შეგრაბეს, მოაკვანეს წესში და ამ გვარად შესდგა დედა-მიწაზე და ბუნებაზე ბევრი სამეცნიერო წიგნები, რომლებზედაც ეხლაც ძალიან ეულით ცდილობენ და შრომობენ, რომ უწინდელ სწავლას მოუმატონ და ამ მომატებულ თ შეკვსონ ის ცოდნები, რაც მათ მიუღიათ. ერის მეცნიერებს, რომელიც ადწერს დედა-მიწას მეზობელებით; გარდა ამ მეცნიერებისა ერიან სხვებიც, ძაგ. ზოგი ამბობენ, გვრჩენენს იმაზე, თუ რაგორ კეკეთდა და წარმოდგა დედა-მიწა; ზოგი ეკეთწერს. ძალ, თუ რისგან ერის შემდგარი დედა-მიწა და სხ. და სხ. ამ მეცნიერებეებში ერის უკეტა ის, რის გეგეიც კი შეიძლეს სწავლულებმა დედა-მიწაზე და ბუნებაზე,. ბეგრამ აქმომდე ბევრი რამე დარჩა აუსსნელი და დუმატებელი, და ბევრიც ჯერ-ჯერობით სრულებით გუგებელია; ესე რომ მომავალ დროს სწავლულებს ბევრი შრომა დასჭირდებინ იმის გასაგებათ, რაც ჯერ-ჯერობით გუგებელია. თუმცა ეს ესეა, ძაგრამ ამ ჩვენ საუკუნეში მეცნიერება ძალიან მიდის წინ, ვინემ უწინდელ დროებში. მაგრა ამისი ერის ისა, რომ ეხლა სწავლულები ძალიან ეამრავალდნენ. იმათ მოქმედებაში, ეამოკვლევაში ერავინ უშლის,, თავისუფლათ სწერენ და ლაპარაკობენ, თუმცა ეველა სახემწიფოში ერა. უწინ, რადესაც ხალხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ბარამეს სახ. ბიბ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

F/3 1/15

მოლიან ხსირეული ტრე-მორწმუნე კუნინათლებელი ბრ. უკი იყო, სწავლულ სალხს წარმოთებს ეძახდნენ; ამათ სდეკინდნენ, აწკალებდნენ, სტანჯავდნენ, სატუსადოში ამწყვევდენ და უველა ნაირად ტდილობდნენ, რომ ამათთვინ დაეშალათ. ესლა კი სალხი ტოტა არ არის განათლდა, გაჭკვიანდა და სცნა, რომ სწავლა არის უმირეველესი ძალა, უმირველესი დარსება კაცის ჯკუა—გონებისა, სცნეს რომ ის კაცნი, რომლებიც შრომობენ ამ სწავლის გასავრცელებლად სრულებითაც არ არიან კაცობრიობის კეთილდღეობის მტერები, არამედ არიან მისი მეგობრები, მისი კეთილის მსურველნი. ჩვენდა სასებედროთ, ჯერ, ჩემი სოფელი მეოხველო, ჩვენ სამქრთველოში ისე გუნათლებელები, ბრიყვები, ტრე-მორწმუნეები ვართ, რომ სწავლულ კაცს, რომ დანახავთ სულ გადირეკით. ეიმის დარიგებას არ იდებთ და გეონათ, რომ რაკი სხვანაირათ არის ჩაცმული; რაკი განათლებულია—უმეტრეთ და ტუიელად გარიგებს. დარწმუნებული იყვ, რომ მინამ ასე

ამ შენ კეთილი არ დაგეურება, შენ ვერ გამოხვალ ველური ცხოვრებითგან. დაიჯერე რასაც სწავლული და გამოცდილი კაცები გირჩევენ წერით, თუ სიტუიერათ. ჩემი სოფლის მეოხველებო, მე ბევრჯელ მქონია შემოხვევა, რომ გაზეთი, რომელიც თქვენ ზოგიერთ და ამიერ ჯერებში ინახავთ, რომ ლორთ გამოვიდეს, წამეკითხნია ხალხისთვის, ბევრი რამ კარგი შესანიშნავი,ჩვენ დარიბ ცხოვრებაში გამოსადეგი ამბები სწერია ხალმე და თქვენ კიეურსაც არუდგებოდა კამბობთ: «ეგ

ამბათუ არ დასწერეს, მე ი არ ვიცი.» თუ იცი შენ კეთილის შეიდო, რატომ არ ისწავლეს, რატომ არ იუენეს შენ ტოდნახა. ცარიელი ტოდნოთ რა გაგეთავა, თუ ამ ტოდნას ცხოვრებაში არ გამოიუენეს. ახა რაც სწერია ხალმე გაზეთში კარგად წაკითხეთ ხალმე მეტოდნე კაცს. დაკვირდით რა სწერია, რას ამბობენ. უველა თერი თქვენი გამოსადეგი იბეჭდება ეაგ ჯაზეთში. ამ ჭ ეული ზომ არ არიან, რომ ბეჭდავენ,. რასაც ბეჭდენ კარგს დაბეჭდენ, რომ ცხოვრებაში გამოგადგეთ. დაუჯერეთ რასაც სწავლულები, მეტოდნე კაცები გელაპარაკებიან და დამიჯერეთ რომ ჭკვას არ წაგეგეთ.

რა არის ქვეუანა?. მეტნიერება გვიმტკიცებს ჩვენ, რომ დედა-მიწა არის ვასკვლავი ანუ ციური სხეული, რომ ის არის იმ ვარსკვლავებთა მსგავსი, რომლებსაც ჩვენ დამე ეხედავთ ცაზე. კაცს, რომ როგორმე შეეძლოს და ავიდეს ერთ რომელიმე ვარსკვლავზე და იქიდგან დახედოს ჩვენ დედამიწას; მაშინ იმას ეჩვენება ეს ქვეუანა ბატარა მანათობელ ალაგად, წერტილად, ანუ პატარა ვარსკვლავად. ჩვენი დედა-მიწა არის უშუქო ვასკვლავი, ესე იგი: ამას თავის სკუთარი შუქი არა აქვს, თითონ ვერ ინათებს, როგორც რომელიმე სხვა ვასკვლავები. ეს იდებს თავის შუქს მზისაგან, როგორც მთვარეც, რომელსაც აგრეთვე არა აქვს თავისი სკუთარი შუქი და ანათებს ხალმე, იმ. ტომ, რომ მზე ამდენს შუქს. ამ ვგარად ჩვენი დედა-მიწა არის მაწაწკინა ნაწილი იმ დიდი, თვალმაუწდომელი ქვეუნისა, რომლის სახდერები ჯერ გონებითაც არ არის მიწოომილი, და სავეკვოა, რომ რადისმე მისწვდნენ, გაიგონ სახდერები მისი. რამოდენად დიდის ალაგები, ვასკვლავებს შუა, ესე იგი ურთი ვასკვლავიდგან მეორემდინ, შეგვიძლიან, გავიგოთ იქიდგან, რომ უველა ცის სხეულებზე ხალოა ჩვენზე მთვარე. ამ მთვარემდინ, რომელიც უველაზე ახლოა ჩვენზე, ჩვენი ქვეუნიდგან ითვლება ს�მის ოცდა ექვსი ათას ექვსასი ვერსი. მზე ზომ ისე შორს არის, რომ კაცი იმ სიჩქარით რომ წავიდეს მზესთან, რა სიჩქარითაც მიდის რკინის ცხაზე მაშინა-მოუნდება მზემდინ მისვლას ექვსასმოცდა ერთი წელიწადი და ერთი თვე. მთვარე და მზე კიდევ არაფერი; ესენი მალიან ახლოა არიან ჩვენ დედა-მიწასა. ზოგი ერთი ვასკვლავები ისე შორს არიან, რომ იმათი დანახვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვისმარგმა კარგს დურბინდს და ზოგიც ისე შორს არიან, რომ იმათი დანახვა არ შეიძლება. მკითხველი, რასაკვირველია, სოფლელი--გუნათლებელი, ამას რომ ეკიგონეს ბირს დაადებს და იტუვის, იმახით თუ სწავლულებს დაუჯერეთო, ისინი ტუიელს არ იტყვიანო! არა, როგორ უნდა დაიჯერო კაცმა ესა, რომ ამ ტანი და ამ ტანი ვერსია მთვარემდინ, ამ ტანი და ამ ტანი წელიწადი მოუნდება კაცი მზემდინ მისასვლელათ! დასწყევლოს დმერომ სად გახომეს, ვინ გახომა, რა-გორ შეიძლება ეიმისი გახომაოდა სხვა ამ ვგვარების ბევრს იტუვის ჩემი გუნათლებელი, ტრე-მორწმუნეებით თვე გავსებული, მკითხველი. შენ გიკვირს უველა ესენი. რათ გიკვირს, სად არის მიზეზი შენი განცვიფრებისა? შენ გიკვირს იმიტომ, რომ არა გგეგებარა, არა იცარა, გუნათლებელი სარ. რომ იცოდე რამე, რომ ცდილობდე შენი თავის განათლებას და კიდევ გაინათლო თავი, მაშინ, მერწმუნე, ადარა გაგიკვირდებარა. უველა თერი უკვირს იმას, ვინც გუნათლებელია. თოკვითი კი არ გახმარნეს, მთვარეზე, კი არ ავიდნენ დათინ კი არ წაიდეს განსახმარავთ--არა, ეს შეუძლებელია, ამას ვერ ჩაიდენს კაცი,--წინდაწინვე სწავლობენ ამასა, ქვეთ დიდი დურბინდები: ამ დურბინდებში, რომ გაიხედო მალიან დიდთ გამოჩნდება მთვარე ოფლა ეს სხა რამელიმე ვასკვლავი. როგორც ვსთქვათ, წინდაწინვე სწავლობენ ამას, თუ როგორ, რა საშუალებით უნდა გახმარნ ადგილი ჭეკეუნდგან მთვარემდინ. დურბინდში გახედავენ, გამოიანგარიშებენ, რომ ამ-ტანი და ამ-ტანი არის ამა და ამ ვასკვლავამდინ. ნუ გეგონებათ, რომ ამაში სცდებოდნენ, ნამწესაც არა. ხომ ხედავთ, რა მნიშვნელობა აქვს სწავლას, განათლებას, რაკამ არა შარებიან სწავლული კაცები? ამათ ერწმუნებიან უველანი კინტ კი ტოტოი მიიტ განათლებულია. უველა ამაებში რამდენი ხალხია დარწმუნებული და ჩვენ რომ ვხთქვათ, რომ ისინი მოტუუდნენ-ა? შეიძლება. ორი, სამი კაცის მოტუ�უნა შეიძლება და მთელი ქვეუანისა კი არა.

მცხოვრებელის რიცხვი დედა-მიწაზე.

მთელ დედა-მიწაზე ესლა ითვლება მცხოვრებლები: ევროპაში ორას ოთხმოცდა ათი მილიონი, აზიაში ეეიდას ოთხმოცდა თვრამეტი მილიონი, ეთვიკაში ას ოთხმოცდა რვა მილიონი, ამერიკაში სამოცდა ჩვიდმეტი და ავსტრალიაში სამი მილიონი რვა ას ორმოცდა ათი ათასი ათას სამას

ორმოცდა თექვსმეტი მილიონი რვა ას ორ-
მოცდა ათასი ათასი კუტი (1,356,850,000).
ეს მოკვანილი რიცხვები მხოლოთ დასხლო-
ვებით გვიჩვენებენ ჩვენ ხალხის რიცხვს
დედა-მიწაზე; სწორეთ, რომ გამოიკვლიონ,
სწორეთ, რომ ასწერონ უველგან უველა
მცხოვრებელები ზემოხსენებულ რიცხვზე ბევ-
რით მომეტებული გამოვა. შუა-გული ადგი-
ლი აფრიკისა, აშერიკის და ავსტრალია-
სა დასახლებულია, დაჭერილია ველური,
გაშცტებული ხალხისაგან. რიცხვი ამათი
ძალიან დიდია. ამათი დათვლა სწორეთ
ვერავინ მოახერხა, ვერავინ მიგიდა იმათ-
თან, რომ დათვალონ იმიტომ რომ, დაე-
ნახვებიან თუ არა ევროპიიდგან მისული კა-
ტები, მაშინვე ეს ველური ხალხი დაფეთხე-
ბა, გაიქცევა და ხალხს არ მიეკარება ევ-
როპიელს. როგორც თხა-მეცხვარს დაეფეთ-
ხების ხოლმე მტერი, სწორეთ ამათაც ისე
მოხდით, თუმცა ამათთან სამტერო არ
მიდიან. ესენი გარბიან ტყეებში და უდაბ-
ნოებში. ასე შერჩებიან ვინც უფრო მხდა-
ლია იმათში. ზოგზოგი კი ისეთი უოჩა-
ლთ და ეულადთ დაუსდებიან ხოლმე, რომ
თუ მისკენ მოკვლას აღარ დაგაჯერებენ
სულ ერთიანად წვნიან-თოჩიანით შეეჭამენ.
აბა რა ქნას კაცმა? ამ ზემოხსენებულ ადა-
გებს გარდა არიან იმისთანა მხარეები, სა-
დაც ამამდე ძლივ ძლივობისას, რის კვი-
ებელსხით შეკიდნენ სწავლული კაცები. ეს
მხარეებიც უპირავთ ველურ ხალხს და არც
ესენი დაუთვლიათ ჯერ-ჯერობით. ზემო
მოყვანილი რიცხვები შემდგარია იმ ხალ-
ხებისაგან, რომლებიც ერთ ადგილს ცხოვ-
რობენ, აქვთ საკუთარი სახელმწიფო და თა-
ვიანთი საკუთარი ადწერა აქეთ თავიანთ
თავზე.

უველაზე დასახლებული და უველაზე გა-
ნათლებული მხარე ევროპა არის, თუმცა
საერცოთ ეს უველა მხარეებზე ბატარაა
გარდა ავსტრალიისა. შუა-გული ადგილი
აფრიკისა, ზოგი ადგილები ამერიკისაც
უპირავს დიდ, თავალ გადუწვდენელ მანძვ-
რებს და უდაბნოებს, რომლებიც ჯერ ძა-
ლიან ნაკლებათ არიან გამოკვლეული სწავ-
ლულებისაგან. ავსტრალიაში (ახალ გოლ-
ანდიაში) მხოლოდ გამოიკვლიეს, კიტ-
ნეს ის ადგილები, რომლებიც ზღვის პი-
რათ არიან; შუა-გული ნაწილი ამ ქვეყ-
ნისა ჯერ-ჯერობით თითქმის სულაც არ
არის გამოკვლეული და გაცნობილი, ისე
რომ ჩვენ არ ვიცით, როგორი ხალხი
ცხოვრობენ იქ, ესე იგი, შუა-გულ ავსტრა-
ლიაში, როგორი პირუტყვეებია, როგორი ბუ-
ნებაა. აგრეთვე ძალიან ნაკლებათ არიან გა-
მოკვლეულნი სწავლული ხალხისაგან ჩრდილ-
ოეთის კიდეები ამერიკისა, და აგრეთვე
აზიისაც და სრულებით არა იცანრა ამ
ადგილებზე, რომლებიც უკიდურ ჩრდილო-
ეთისკენ და სამხრეთისკენ მდებარობენ;
ამ ადგილებს ათასში ერთსელ, ალალა-
ბედზედ, მიადგებოდნენ ხოლმე მოგზაურე-
ბი. უველა ესენი გუგებელი, შეუსწავლე-
ლი და ადუწერელი დარჩა, რომლების გა-
ბედაც ერგოთ წილათ მომავალ ჩამამავლო-
ბას, მომავალ სწავლულ კაცებს. ესენი გა-
მოუცხადებენ თავის დროზე ხახლს თავიანთ
ახალ-ახალ გამოჩენილებზე და გამოკვლევა-
ებზე და ამ სახით შესრულებენ იმის, რაც
ჩვენ არ გიცით.

ხარწმუნოებები დედამიწა-
ზე. მთელ დედა-მიწაზე ქრისტეს სარწმუ-
ნოების ადსარებელნი არიან სამას ოთხ-
მოცდა-ექვსი მილიონი კაცი, სხვა და სხვა
სარწმუნოების ხალხი არიან სულ ცხრა ას
სამოცდა ათი მილიონი კაცი. ქრისტიანე-
ბიც, ისე იგი ქრისტეს სარწმუნოების ად-
სარებელნი განიყოფებიან სხვა და სხვა
ნაწილად: კათოლიკებად, რომლებსაც ჩვენ
ქართველები ეკმახით ფრანგების რომლე-
ბიც სქართველოშაც არიან, და რომლის
რიცხვიც შეადგენს ას ოთხმოც მილიონ
კაცს; პროტესტანტებად, ლიუტერანებად —
ს ექვსი მილიონი, მარომადიდებელებად,
რომლის რიცხვი შეადგენს ოთხმოც მილი-
ონს. გარდა ქრისტეს სარწმუნოების ადმ-
სარებლებისა, არიან კიდევ კარგა ბლომად
სხვანიც მაგალითებრ მაჰმადის სარწმუნოე-
ბისა, რომლებიც თითრებს უპირავთ, ამ
სარწმუნოების მიმდევარნი ითვლებიან სა-
მოცდა ათ მილიონამდინ; ებრაელები (ურა-
ები) შეადგენენ ექვს მილიონს და წარ-
მართები ანუ კერპთა-თაყვანის მცემლები--
რვა ას ოთხმოცდა თოთხმეტი მილიონია.
სჩანს რომ ამამდე უველა სარწმუნოებზე
უფრო გავრცელებული, უფრო ბევრი ად-
ამრებელები ჰყავს კერპთ თაყვანის მცემ-
ლობის სარწმუნოებას, ასე რომ კერპთ-
თაყვანის მცემლები შეადგენენ ორ მესამედს
მთელი ხალხის რიცხვისას, ქრისტიანები
კი ძლივს შეადგენენ ერთ მეოთხედს მთელი
ხალხისას ქვეყანაზე.

რიცხვი სიკეთილისა და და-
ბადებებისა ქვეყანაზე. კაცის სი-
ტოცხლის ხანგრძლივ რიცხვად ითვლება ეს-
ლანდელ დროში ოცდა ცამეტი წელიწადი
და ექვსი თვე. მეოთხედი ნაწილი ისა
ახოცებს აქვე ბატარობისას, მინამ შვი-
დი წლისა შესრულდებოდეს, და თითქმის
ნახევარი ხალხისა ახოცებს ჩვიდმეტ წლამ-
დინ შობიდგან. ასი კაციდგან მხოლოდ
ექვსი ცოცხლობს სამოცდა ათ წლამდინ
და ამაზე ბევრსაც; ხუთასი კაციდგან მხო-
ლოდ ერთი ცოცხლობს ოთხმოც წლამ-
დინ და ათასი კაციდგან-ერთი ცოცხლობს
ას წლამდინ. თვითეული წლის განმავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში დედა-მიწაზე კვდება ოცდა ცამეტ მილიონამდინ კაცი; ეჩქვენ სჩანს, რომ ოკეანე ტისმარე იდეს კვდების დედა-მიწაზე ოთხმოცდა ოერმეტი ათასი კაცი; თვითეულ სიკვდილში სამათასს-შვიდს ოთხმოცდა ათი კაცი, თვითეულ წამში სამოცი კაცი და ერთ თვალის დახამხამებამდის-ერთი კაცი კვდება. ჩვენ ვსთქვით, რომ დედა-მიწაზე სახოკადო რიცხვით კვდება ოცდა თოთხმეტი მილიონი კაცი. ამ სიკვდილების რიცხვზე მეტი დაბადებისა. ოთველ წლიან იბადება ორმოცდა ერთი მილიონი, ესე რომ თვითულ წელიწადში დედა-მიწაზე იბადება რვა მილიონათ მეტი კაცი, ვინემ კვდება. ეს ოთველ წლიან მომატულობა, რასაკვირველია, ძალიან გაამრავლებს ხალხს დედა-მიწაზე; მაგრამ ზოგ-ზოგ მხარეებში ხშირად ჩნდება ომიანობები და სხვა კადამდები ჭირები-ანბა რასაკვრელია, რომ ომიანობის და კადამდობა სატკივრის დროს ბევრი ხალხი დაიხოცება; ამ გვარად მოკვდება, სულ ცოტა ხალხის გაძრავლების რიცხვი და სუფევს ინანსწორობა სიკვდილის და დაბადების რიცხვებს შეა.

როგორ უნდა გაარჩიოს მომკვდარებული კაცი მომკვდარისგან.

ხანდა ხან მოხდება ხოლმე, რომ ადამიანის შვილი, თუმცა მკვდარი არ არის, მაგრამ მკვდარს დაემსგავსება მოლმე. კაცს დაეძინება; სძინავს რამდენსამე დღეს, რამდენსამე თვეს; ამ დროს სრულებით მკვდარსა ჰგავს. ეს არის ავათ მყოფობა. ამ ახირებული ავათ-მყოფობის გამო ბევრი საშინელი შემთხვევა ხდება ხოლმე. რამდენს ამისთანა ავათმყოფებს, უცოდინარობის გამო, აიღებენ და ჩასდებენ ცივ მიწაში. როცა დრო მოუვათ და გამოეღვიძებათ ეს საცოდავი-შეენამენ ბრძოლას, რომ როგორმე გამოვიდნენ, მაგრამ ტყუილად: უცოდინარობის მსხვერპლი ბრალებს თავის გამჩენს სულს დიდ ტანჯვაში. განათლებულმა ხალხმა მიაქცია ყურად-ღება ამ საშინელ მოვლენას. ეხლა ევროპაში სასოფლაოებთან არიან გაკეთებული ერთიანი დიდი საფლავი სახლიეთ. მიმკვდარებული კაცის სხეულს აქა სდებენ ხოლმე. როცა გამოიღვიძებს იმისთვინ გასაჭირი არ იქნება გამოსელა და ამასთანავე უარაულიც ეყენება, რომ მალე გამოიყვანოს. ამბობენ, რომ ერთმა მდიდარმა ფრანცუზმა—მარიზ ორმა (სახელი იმ ფრანცუზისა) დასდო საჩუქრად ოცი ათასი ფრანკი (თითო) ფრანკი ჩვენებური ხუთი შაურის ტოლია) იმისთვის, ვინც იპოვის იმისთანა კარგ და ყველასთვის ადვილ ღონისძიებას, რომლითაც სწორეთ გაარჩევენ მიმკვდარებულს მართალი მკვდარისგან. გამოჩნდა ერთი ექიმი ფრანცუზიე, სახელათ კანიაკი. ამან მიიღო ის საჩუქარი და აი რა საშუალება იპოვა ადვილად გასარჩევად მიმკვდარებული კაცისა მრთლად მკვდარისგან: პირველათ, ამისთანა საეჭვო კაცი, ესე იგი, როცა მელსაც ეატყობთ, რომ მკვდარი არ არის და მხოლოდ მიბნედილია, არ უნდა დამარხონ იქნამდისინ, მინამ ამ გვარი კაცის სხეული არ დაიწყობს ლპობას. თუ მიბნედილია, მაშინ სხეული არ ასუნდება, არ დალპება, და თავის დროზე ეს მიბნედილი გამოიღვიძებს. და თუ ასუნდა, მაშინ შეეტყობთ, რომ ეს მართალი მკვდარია, თორემ არ ასუნდებოდაო. მეორე საშუალება, უნდა ბნელა ოთახში სამთელზე გაიშინჯოს ხელი მისვენებულისა: თუ კიდეე სიცოცხლეა იმაში, მაშინ სამთლის შუქი, რომ მოხვდება ხელს ის კაშკას დაიწყებს, ესე იგი ვარდის ფერს მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ იმაში სისხლი ტრიალებს, სიცოცხლეა. თუ მართლა მამკვდარია, მაშინ სამთლის შუქზე ხელი შავათ, ქვასავით, დარჩება, არა ვითარ ფერს არ მიიღებს.

როგორ უნდა უშველოთ მიმკვდარებულ კაცს. მიმკვდარებული კაცი უნდა შეეტანოთ გრილო ოთახში, გახადოთ ტანთ-საცმელი და ტანზე უსვათ მაუდის ნაჭერი, ჯერ ცოტათი, მერე ძრიელ, მინამ ტყავი არ შეწითლდება; ცხვირთან უნდა მიუტანოთ მცხარე სპირტი, ხრენი, დამწვარი ფთა, ბანალი და სხ. ამ გვარები; პირზე ხელი უნდა დაიფაროთ, და დროდროგამოშვებით ცხვირიდგან ჩაებეროთ ჰაერი; როდესაც მიმკვდარებული მოცოცხლდება, გამოიღვიძებს, მაშინ იმას უნდა ვასვათ ჩაი ღვინით.—

სიღნაღიდგან

(«დროების» კორესპონდენტი)

(დროებიდგან № 15)

თვალი რომ ვადევნოთ, რაცკი «დროებაში» დაწერილა რამე შესახებ სიღნაღისა, სულ იქაურს სომხებს შეეხებოდა, გაკვრით ნათქვამს აზრს გარდა. მკითხველს რომ ამ საგანზე მრთელი წარმოდგენა ჰქონდეს, მე ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ესთქოორიოდ სიტყვა იქაურს გლეხების შესახებაც. როგორც მკითხველს ეხსომება, სიღნაღელი სომხები წარმოგვიდგენენ მფლობელს წოდებას. მამული, დედული, სახნავი, სათესი, ფუღი და ეეჯი, ერთის სიტყვით რასაც კი ცოტა ოდენი ფასი მაინც აქვს, სულ იმათ ხელშია. იყვნენ ოდესმე თავადები; შეეძლოთ ცოტა ოდენი რამე, მარამ ეხლა,—ღმერთმა შეინახოსთ. ჩემი მტერი ნუ ჩავარდეს იმ ალაგს, რა ალაგშიაც ისინი ეხლა არიან ჩაცვივნულები. იმათ მამულ-დედულიც ქონება და, ცოლის საყურეებიც სულ ვაჭრებს აქვსთ დაგირავებულები. უვალო თავადიც იმისთანა ძვირი სანახავია, როგორც შუა ზაფხულს თოვლი. საცინელს და მასთანვე დასაღონებელ დასანახავს წარმოგვიდგენს ჩვენებური თავადი, როცა სომეხს ფულსა ჭსთხოვს სასესხებლათ. შეეხედეთ, როგორ ელრიჯება, უცინის, ელაქუცება, რკალიეთ იკაკვება გაბერილ ვაჭრის წინ, ოღონდ თუმანი თვეში მანეთათ მასესხოსო! გარდა იმისი, რომ მამულს

გირაოთ უწერს, სარგებელს წინ-და-წინვე თავნზე ჰკეცავს. თუკი ასეთ' ალაგ ჩაცვივნულან «თავადები,» და «ყმარწვილები,» ამაყნი მამა-პაპათა და ჩამამავლობით, რომლებშიაც ეს რამდენიმე საუკუნეა, რაც უსპეტაკესი და შეუმღვრეველი სისხლი მიმდინარეობს,—მაშ იქაური გლეხები რაღა სანახავი იქნებიან? ისინი კიდევ ხომ სულ წყალ წაღებულები იქნებიან! დიახაც და მაგრე გახლამსთ. არ შეიძლება კალმა, თუ არ უნახავს, წარმოიდგინოს ის სილარიბე, ის გონებითი და, ამ ბოლოს დროს, ზნეობითი დაცემა, როგორსაც სიღნაღის უეზდის გლეხები წარმოგვიდგენენ. თუ გონივრულათ დააკვირდით ეხლანდელს იმათს ასეთს მდგომარეობას, აუცილებელია არ წარმოგვიდგეს კითხვა: და რა გამოვა აქედამ, თუ საქმეს პატარა მალე არ ეშველა? დაჰფიქრდები, ეძებ სანუგეშო პასუხს და ბოლოს სასოწარკვეთილებას მაინც ვერ ასცდები.

ერთად ერთი წყარო, რომელიც ექამდისინ აძლევდა აქაურებს ცხოვრების საშუალებას, თუნდა ღარიბულისას, ვენახები,—ეხლა სრულებით ხელიდამ წაუვიდათ. იმათ არამც თუ შეეძლოთ თავიანთზე დანახარჯის აღება,—ვალსაცკი ბლომათ ადებენ თავიანთ პატრონებს კისერზედ. გლეხს ჰგონია აი ან დღეს, ან ხვალ გადმოგვხედავს ღმერთი და დაბრუნდება უწინდელი გამოსვლიანობის დროიო. მაგრამ ტყუილათ ატყუებს სხვასაც და თავის თავსაც. დღესაც ისეა,—როგორც გუშინ იყო, წელსაც,—როგორც შარშან, ისევ ისე, ისევ ისე, და ისევ ისე.. სხვა ხელობისთვის შეუჩვევლობის, მოუმზადებლობის და შეუძლებლობის გამო ვერ მიუყვია ხელი და რჩება ისე ორთავ წყალს შუა. ამასთანავე უსარწყავობა, მარტოკა ცის ნამზე დამოკიდებულობა ძალიან უკრამენ ხელ-ფეხს იქაურს გლეხებს. მდებარეობაც იმისთანა არის, რომ წყლის მოყენება არსაიდამ არ შეიძლება. კიდევ ღმერთის მადლი, რომ ასეთი მომცემი და ნოყიერი ადგილია. ჯერ ეხლა, რომ უმეტესს ნაწილზე ამათ სარჩო არ მოვა ხოლმე, მაშინ რაღა იქნებოდა, ესეც რომ არ იყოს. ხვნა და თესვაც ყველას არ შეუძლიან, იმისთვის, რომ უმეტესი ნაწილი უხარ-კამეჩო ხალხია. ამათ რასაკვირველია ვენახის კეთების და მოჯამაგირეთ დადგომის მეტი აღარა ჰრჩებათრა. ლომისით ვაჟკაცის წლის დიდი ჯამაგირი არის ხუთი თუმანი. იმასაც, რასაკვირველია, ერთბაშათ არავინ აძლევსთ, რომ ცოტად მაინც მოიცხონ რამე, და წვრილ-წვრილათ ალევენ ნითს. რა უყოს ამ ხუთმა თუმანმა, თუნდა ერთბაშათაც მისცენ? ავიღოთ გლეხი ცოლიანი და ორის შვილით. (როგორც მოგეხსენებათ ორი შვილი ჩვენი ბედნიერათ მომშენე ქართველი კაცისათვის ძალიან ცოტაა.) თვითო ჩაცმაზე, თავიდამ ფეხებამდინ მოყოლებული, ცოტა-ცოტა ხუთი მანეთი მაინც მოუნდება. ცოლსაც ამდენი. ორ შვილსაც ერთად კიდევ ამდენი, ეს გახდა 18 მანეთი; და რჩება 32 მანეთი. სამს სულს წელიწადში, ცოტა-ცოტა, 25 მანეთის პური მაინც მოუნდება. (ჩვენ კოდს ორ მანეთათ ვაგდებთ, თუნდ ეს იქ ძალიან გულუხვი სიაფე არის). დარჩა 7 მანეთი. ამ შვიდი მანეთისა სანთელი იყიდოს, ფიჩხი, შეშა, სახლის ვეჯი, მარილი, სახელმწიფოს გასცეს პასუხი, თუ მღვდელს? ეს შვიდი მანეთი ხომ ფოშტის ფულათაც არ ეყოფა რა საკვირველია? მოდი და ნუ ივალებ? მოდი და ნუ გაღარიბდები. მე ვიცი, არამც თუ სომხები, თვითონ გლეხები და მღვდლებიც, რომელნიც მაისში პურს ასესხებენ და თიბათვეში ერთ ნახევრათ იღებენ. კოდზე ხუთი ლიტრაა... ეს იქმნება ორ მანეთზე თვეში მანეთი. «თ უ მ ა ნ ზ ე თ ვ ე შ ი ხ უ თ ი მ ა ნ ე თ ი.» როგორ მოგწონსთ?

ვალლა, კარგი რამ დასანახია ჩვენი ქიზიყელი: დაბღლარძული, დახეული, თვალებ ჩაცვივნული, ჩამომხმარი და მომაკვდავივით ფერ მიხდილი! აგერ ანაგის ხევზედ მოიზლაზნება ერთი იმისთანა გლეხი. სად მიდის? რასაკვირველია სუდში. ცალი ჯიბე რიღაცისაგან აქვს გამობერილი. ფულის პორტმანე არ გეგონოსთ. ეგ გახლავთ ათი კვერცხი ცოლისგან გატანებული, რომ, რადგანც მაინც და მაინც მიდის, გაყიდოს და მას საპონი უყიდოს. მიდის და რაღაცაზედ ძრიელ ღრმათ ჩაფიქრებულა. იმის სახე რაღაც შეწუხებას, ბრაზს და ზოლმასა ჰსხამს. თვალებს ხან აქეთ, ხან იქით აბეცებს და ვერა რაზე კი ვერ დაუყენებია. ფიქრობს და რომ ჰკითხოთ კი რაზეო? ვერ გიპასუხებთ, ასე არეულ-დარეულია. მაგას ერთი სომხისა ხუთი თუმანი ემართა, წავიდა, ღმერთი გაიგდებინა, დადგა მოჯამაგირეთ და როგორც იყო უშოვნა. ერთხელ აიღო სახზე ფული და გასწივა სიღნაღისყენ, რომ ჩეებარებინა თავის მოვალესათვის. მოვალე შუა გზაზე, ცხენით ყვარელს მიმავალი დახვდა. გამარჯვება,—გაგიმარჯოს!—საით?—შენთან, მინდა შენი ფული ჩაგაბარო.

— აი გიშველა ღმერთმა! სწორეთ რომ სულზე მომასწარ! ეხლა ყვარელს მივალ ღვინოებისათვის და ძალიან მიჭირდა. მოდი მეჩქარება, ნუ დამაბრუნებ, მომეცი ეგ ფული და გაძლევ თავდებად მაღალ ღმერთს და დაბალ დედა მიწას, დაბრუნებისუმალვე ჩემის ფეხით ჩამოგიტან შენს თამასუქს და ერთ კარგ სადილსაც გავაკეთებ.

გლეხი არ აძლევს. სომეხი ღმერთს, სჯულს, მამას, დედას, სულსა და ხორც იფიცამს. გლეხი გაბრიყვდა.—აჰა ძმავ, რავიცი, ჩემ ცოდოს როგორ აიღებ, ღმერთმა კეთილად მოგახმაროს!—მისცა და დაბრუნდა. შემდეგი ამისა იყო ის, რომ ეხლა ეს გლეხი იმ თამასუქით სომხის ჩივილზე არის დაბარებული. აი რისთვის არის ასე გაბეცებული. სრულებით ვერ მოსულა ჰაზრს: საიდამ, ეს როგორ მოჰხდა, რამ გააბრიყვა, რამ შეჰკრა, რომ მისცა? აი ავიდა სიღნაღის ყელში... ავიდა მოედანზედაც. სინემ სუდი გაიხსნებოდეს, მოიხადა ქუდი, ჩაიწყო კვერცხები და დგას ერთს ალაგს. აი ისმის: «კვერცხო» აქეთ! გლეხი მიდის ერთს ჯგუფა სომხებზე.—შაურათ რამდენი?—ხუთი-—მოიტა. გლეხი აძლევს. სომეხი იღებს 7 გროშს და აძლევს. გლეხი არ იღებს. შეეშველებიან სხვა სომხები: რასამბოფ ეი, შე ოხერო, მეტი გინდა? შენ გინდა დააძვირო? აიღე ჩქარა! აიღო გლეხმა. წავიდა საპნისთვის. ერგება ნახევარ გირვანქა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის უწონს $1/4$. გლეხმა რა იცის. იღებს, ფთხილად ახვევს ხელცახოცში და მიდის სუდში. მოდის მოვალე სომეხიც, შეჰხედე შენს ღმერთს, ნუ იქ მაგას, ელრიჯება გლეხი. ხო მოგეცი, მეტი რაღა გინდა?

— რას ამბობ, რას? თუ მოგეცეს, ეს რა არის? უჩვენებს ვექსილს. ატკაზსაცა ჰშვრები? ციმბირში დავაკარგვინებ შენს თავს...

შემოდის სუდიაცა. რა ჰქმნას იმანაც? ისიც ყ მეტესს ნაწილზე სჭრის საქმეს ისე, როგორც ფაქტები უჩვენებენ. ქართველი ეუბნება მარტოკა: «შეხედე შენს ღმერთს! ქათამი, რომ წყალს დაჰლევს, ისიც კი შეხედავსო...» სომხის ადვოკატი კი ალაგებს დასტა-დასტა სჯულებს გასახიჩრებულს რუსულ ენაზედ.... ასე გამოვა გლეხი, პირში ჩალა გამოვლებული, უნუგეშო და დაღონებული. კისერი და მკლავები მომაკვდავივით ჩამოუყრია; რასაც მაშინ ის გრძნობს, იმას ცხადათ გვიჩვენებს დიდი, დიდი სიმინდის ოდენი ცრემლი!.. მიდის და ხან აქეთ, ხან იქით მილაზლაზებს. გახარებული სომხები კი ეხვევიან, ულიტინებენ, სჩქმეტენ, უწევენ ახალუხის კალთას და ასე აცილებენ ყიჟინ-ხარხარით.

ჩამოვიდა შინ. შინ ცოლი ეტყვის, რომ ფოშტის ფულის იასაული მოვიდაო, რაცკი რამ წასაღები იყო: ქვაბი, სინი, ხონჩა, ქვეშაგები წაიღო და დაგირავაო და.. და.. დანარჩენი კი კიდევ მილეწ-მოლეწაო. ჯანი გავარდნოდა, მარამ საწყალს დედაკაცს მოუკლეს ინდოური, რის ვაივაგლახით და ნათხოვნის ლუკმით გამოზრდილი; ეგონა გავყიდიო და ერთს ძაძა კაბას შემოვიცვამ, ან პატარებს შევმოსამო..

აი ასეთს მდგომარეობას წარმოგვიდგენენ სიღნაღის უეზდის გლეხები. ნუ თუ არსიდამ არ შეიძლება შველა? ნუ თუ ჩვენს მოძმეებს, ჩვენს სისხლსა და ხორც, ჩვენთან ერთს ძუძუ ნაწოვებს, თავათ დაღუპულებს, გაუშვებთ, რომ უარესად დაიღუპნენ? მკვდარს, სრულიად დამხრჩვალს გამოიტანენ ხოლმე წყლიდამ და ეგენი ხომ ჯერეთ ცოცხლები მაინც არიან? ჯერ შველა კიდევაც ხომ შეიძლება? დიახაც შეიძლება, მხოლოდ მონდომების მეტი არა უნდარა. განა სხვა მხარეში კი არა ყოფილა ასეთი და უარესი სიღარიბეც, მარამ სასოფლო ბანკებით და სხვა ამისთანა დებულებით უშველიათ საქმისათვის? რა დაგვიშლის ჩვენც, რომ, ისე მოვიქცეთ, ვუწამლოთ ჩვენ მამაკვდავს ძმებს და მით დავიხსნათ აუცილებელის სიკვდილისაგან? ეს ხომ ნამდვილია, რომ სანამ სომხები მფლობელობენ, სინემ ეს მდგომარეობა აუცილებელია. მაშასადამე უნდა ვეცადნეთ წავართოთ იმათ შეძლება ამისთანა ულმერთოდ ცარცვისა.... ვგონებ ეყოთ.... ვგონებ, რომ ჩვენც კი გვეყოს ჩვენი უზრუნველობა...

ეს სიმხეცე ხომ სრულებით გამოვცადეთ, ვგონებ ეხლა კი დრო იყოს ჰკუის ხელის მიყოფისაც!

ა. კოკოტა

დროებიდგან № 14

სახელოსნო შკოლა
კავკასიის ტეხნიკური საზოგადოებისა

როდესაც ჩვენ კავკასიაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, ყოველთვის იმას გაიგონებთ, რომ ეს მხარე მეტის-მეტათ შემკული და სავსეა ყოველგვარი ბუნებითი სიმდიდრითაო, ბუნებას იმისთვის უხვად მიუნიჭებია ყოველიფერი, რაც კი კაცის კეთილათ ცხოვრებისათვის საჭირო არისო, მაგრამ ამ კაცს ვერ მოუხმარია რიგიანათ ეს ბუნების სიმდიდრეო. მართლაც, ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ვერავინ ვერ დაარღვევს: ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენ გვარტყია გარშემო ყოვლათ მდიდარი და უხვი ბუნება; ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ამ ბუნებით ჩვენ რიგიანად ვერ ვსარგებლობთ. რატომ მოგვდის ეს? რატომ არის, რომ სხვა ქვეყნების ხალხები უფრო მომეტებულათ სარგებლობენ თავის ღარიბი მიწიდამ, ვიდრე ჩვენ მდიდარიდამ? ჩვენდა უთქმელათაც მიხვდება მკითხველი, რომ ამის თავი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით—როგორ უნდა ვისარგებლოთ ამ ჩვენი ბუნების სიმდიდრით. ჩვენ გვაქვს მშვენიერი მიწები, მაგრამ არ ვიცით—როგორ უნდა შევამუშავოთ, რომ ჩვენი სამყოფი პური და ღვინო მაინც მოვიყვანოთ. ჩვენში გაუვლელი ტყეებია, მაგრამ არ ვიცით—რაში უნდა გამოვიყენოთ ისინი და მარტო უმოწყალოთ ვჭრით და შეშათ ვხმარობთ. ჩვენს თფილს ჰაერში ძალიან კარგი ბამბა, კარგი ენდრო, კარგი აბრეშუმი მოიყვანება, მაგრამ არცერთი არ მოგვყავს. ვინ იცის—რამდენ სხვა რასმე მოიყვანდნენ ჩვენში, მ ც ო დ ნ ე კ ა ც ე ბ ი რომ გვყავნდნენ!

აი, უბედურებაც ამაში მდგომარეობს, რომ მცოდნე კაცები, ისეთი კაცები, რომელნიც იცნობდნენ ბუნებასა და შეეძლოთ იმის სიმდიდრის გამოყენება, ჩვენ არა გვყავნან. არა გვყავნან არათუ რიგიანი და ნასწავლი მეოჯახეები—რიგიანი დურგლები, რიგიანი მემელიც ასწავლის—თუ როგორ უნდა შეამუშავოს იმან ყოველი ბუნების ნამყოფი და როგორ უნდა მოიხმაროს იმან საზოგადოთ ეს ბუნება. ამიტომაც ყოველი კაცი, რომე ლიც სცდილობს თავის ქვეყნის სიკეთისათვი და რომელსაც ესმის—თუ რა გზებით შე ძლება ამ სიკეთემდი მიღწევა,—უნდა თანა უგრძნობდეს თავის ქვეყანაში ხელოსნურ განათლების გავრცელებასა.

რასაკვირველია, რომ ის პატარა სახელო სნო შკოლა, რომელზედაც ჩვენ დღეს ჩამო ვაგდეთ ლაპარაკი, ჯერ ისეთი რამე არ არი რომ იმაზე ბევრი ლაპარაკი ღირდეს. მაგრამ ჰყიდიან.

ამისთანა მდგომარეობაში მყოფ ხალხ რასაკვირველია, ისეთ გვარათ ვერაფერი ვე დაეხმარება, როგორც სხვა და სხვა პრაქტიკულ ცოდნის გავრცელება, ისეთი ცოდნისა, რო ჩეექმენი, საზოგადოთ ხელოსანი კაცი ძალი იშვიათად მოიპოება ჩვენში. აქედამ წარმო დგება ის სამწუხარო გარემოება, რომ ჩვე ქვეყნის სიმდიდრით ჩვენზე უფრო უც ქვეყნელები სარგებლობენ, რომელთაც აქვთ ჩვენი ქვეყნის შეუმუშავებელი საგნ და მერე ამავე საგნებს, თავიანთ ქვეყნებში ზადებულს, ჩვენზედვე ერთი ათათ და ო

როგორც პირველი მაგალითი ჩვენში, ის სრულიად ღირსია ჩვენი ყურადღებისა.

ეს პატარა სახელოსნო შკოლა ჯერ ორი წელიწადი არ არის, რაც აქაურმა ტეხნიკურმა საზოგადოებამ გამართა (*). მაშასადამე იმას ბევრი არც მოეთხოვებარა. მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ცოტა ხანშიაც და ცოტა საშუალებით ისეთნაირათ მოუგვარებია საქმე, რომ იმედია, შემდეგში ამ შკოლის არსებობა უნაყოფოთ არ გაივლის ჩვენი მხარისათვის. ჯერ-ჯერობით ამ შკოლაში მარტო 25 ყმაწვილი სწავლობს. წერა-კითხვას გარდა, აქ ასწავლიან დურგლობასა, მჭედლობასა და ზოგიერთ სხვა ხელობას. შკოლაში ყოველ ხელობას ცალკე ოსტატები ასწავლიან, რომელთაც საზოგადოებისაგან კარგი ჯამაგირი ეძლევათ. შაგირდები ამ შკოლაში 8 წლიდამ 16-მდი მიიღებიან. თავის ნაწარმოები ნივთებისაგან შკოლას შემოსვლია შარშან 300 მანეთი. მაგრამ ამას გარდა შარშან 1800 მანეთი დახარჯულა ამ შკოლისათვის. წელს კი, როგორც ამბობენ, ნაკლები დაიხარჯება, რადგან თვითონ შკოლას 700 მანეთის სხვა და სხვა ნივთები აქვს შეკვეთილიო.

(*) შკოლა იმყოფება კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ბელაევის სახლებში.

თითო შაგირდს წელიწადში მხოლოთ 3 მანეთი ეძლევა ჯამაგირი მუშაობის ფასი. რადგანაც ამ შკოლაში თითქმის ყველა ღარიბების შვილები არიან, ამიტომ, დაისწავლიან ცოტა რამე თუ არა, იმწამსვე გამოჰყავთ მშობლებს და სხვა ოსტატებს აბარებენ, რომ რა არის, მეტი ჯამაგირი აიღონ შვილებისა. ეს, რასაკვირველია, ძალიან ვნებს თვითონ შკოლას, რადგან იქ კარგა მცოდნე შეგირდები არ რჩებიან და მაშასადამე ცოტა შემოსავალი ექნება, მეორე მხრით ავნებს თვითონ შაგირდებსაც, რადგან არ ასრულებენ სწავლას.

სხვა ქვეყნებში, სადაც კი ამისთანა შკოლებია გამართული, ყველგან შაგირდების ნამუშევრიდამ შემოსავალს თანასწორათ ჰყოფენ და ან წლის დამლევსა და ან ოთხ-თვეში ერთხელ ურიგებენ შაგირდებსა. ამისთანა წესი რომ შემოიღონ აქაურს სახელოსნო შკოლაში, ჩვენი აზრით, მაშინ იმის საქმე უკეთ წავიდოდა.

ერთის მხრით საზოგადოების გულგრილობით და მეორეს თვითონ შკოლის ზოგიერთი ნაკლულევანებით აიხსნება, რომ იქ ჯერ-ჯერობით მარტო 25 შაგირდი სწავლობს. ამისთანა შკოლებს ჩვენში, როგორც ბუზი თაფლს, ისე უნდა ეხვეოდნენ, თუკი ეს შკოლები კარგათ არიან გამართულნი. ქალაქიდეპუტატებს, როგორც გავიგონეთ, მოლაპარაკება აქვთ ახლა, რომ ქალაქის შემოსავლიდამ ამ შკოლის სასარგებლოთ 1000 მანეთი შესწირონ. ღმერთმა ქნას, რომ მატერიალურ შემწეობას გარდა, ზნეობითი თანაგრძნობაც განეცხადებინოს ჩვენს საზოგადოებას ყოველი ამისთანა, იმისთვისვე სასარგებლო, საქმეებისათვის.

მ ე ე ე ე დ ე ე ბ თ ა რ ტ ე ლ ი ჩ ე ე ნ შ ი

ვისაც თვალ-ყური უდევნებია და დაჰკვირვებია რუსეთის მუშა-ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროებში, ან რუსულ ლიტერატურაში მაინც უკითხავს რამე ამ საგანზე, დათანხმდება და შეუცდომელად იტყვის, რომ დაბალი ხალხის კეთილ-დღეობამ, ეგრეთვე დიდი მემამულეებისამაც, და მათმა ეკონომიურმა გაუმჯობესობამ საგრძნობლად წინ წაიწია და თან და თან იმატა. ამგვარი მათი შრომის შემსუბუქება და შამოსავლის გამრავლება, მაშასადამე კეთილდღეობაც, უნდა მივაწეროთ, უეჭველად, იმ კეთილს და დაუფასებელს დაწესებას, რომელსაც ეძახიან მწარმოებელთ ამხანაგობას, ანუ არტელს, ასსოციაციას (*производительная артель, ассоціа-ція.*) თუმცალა ეგრეთი დაწესებაები ჯერ ისე მტკიცედ და მარჯვედ არ არიან რუსეთში ფეხ-მოკიდებული, როგორც დასავლეთის ევროპაში, მაგრამ ცხადათ და აშკარათ უმტკიცებს ყველას, რომ ეგრეთი დაწესებაები არის ერთი უმთავრესი იმ დაწესებაებთაგანი, რომელიც აუმჯობესებს მუშა-ხალხის მდგომარეობას და გამოიწვევს მათში უფრო ბევრს სურვილს და ჯანს, რომ თან და თან გაადიდოს სამზღვარი თავის შამოსავლისა. ეს ამხანაგობა ანუ არტელი იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენიმე მუშა-ხალხი — რაც მეტია, ისა სჯობს, — შეერთდებიან ერთად იმ აზრით, რომ აწარმოვონ რამე და იმუშავონ ერთად შეერთებულის ღონის-ძიებით და საზოგადო ხარჯით. ისინი შემოიტანენ საზოგადო კასაში ზოგი ფულს, ზოგი სხვა რამე საქონელს და ზოგი თავის შრომას. ამგვარს ერთად, საზოგადო მუშაობაში ის სარგებლობა არის, რომ ნამუშევარი ქირა ერგებათ ერთად სულყველას და თანასწორი, დრო წაუვათ ბევრად ნაკლები, ვიდრემ მარტო-ხელს, სამუშაო მასალებს ყიდულობენ ერთად პარტიობით იქ, სადაც უფრო იაფია და ათასი ამისთანები.

რასაკვირველია, ამგვარმა უბრალო და დაურღვეველმა ჭეშმარიტებამ თავისი ცხადის სინამდვილით ბევრი მომხრეები შეიძინა, განსაკუთრებით სწავლული საზოგადოებების წრეში, რომელნიც სცდილობდენ თუ საკუთარის მაგალითით, თუ ლიტერატურაში ჩაგონებით დაერწმუნებიათ გაუნათლებელი მათი მოძმე, რომ საზოგადო და შეერთებითს შრომაში არსებობს საფუძველი მათის კეთილდღეობისა. მართლადაც, ამ ჭეშმარიტებამ ძრიელ მალე იდღეგრძელა და დასვა თავისი შეუმუსრავი ბეჭედი კეთილ-მიმართულებისა. ჩვენ არ მოვყვებით ლაპარაკს იმ არტელებზე, რომელნიც ძრიელ მოკლეს ხანში გაქრენ თუ საქმის უცოდინარობით, თუ უყურადღებობით და ანუ სხვა რამე გარეგანი მიზეზებით; აგრეთვე იმ არტელებზე, რომელნიც თუმცალა არსებობენ, მაგრამ ძრიელ სუსტ საფუძველზე და მათ წყობილებაზე ძრიელ ცოტა-ცნობები გვაქვს, მაგალითად, მთარგმნელი ქალების არტელი, რომელიც დაფუძნდა პეტერბურღში 1864-ს წელს, ანუ კიდევ წიგნის მკინწავი ქალების არტელი, დურგლების და ბაშმაჩნიკების არტელები და სხ. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ იმ არტელს, რომე-

ლიც უფრო გონიერულად დაარსდა რუსეთში და რომლის გამარჯვება თან და თან ხმა-მაღლა ისმის, — ჩვენ ვამბობთ მეყველ ლ ე ებ თ ა რ ტ ე ლ ზ ე.

რადგანაც ამ საგანზე ბევრჯელ იყო ნათქვამი «დროებაში», იმისთვის, ეფიქრო, «დროების» მკითხველებს კარგათ უნდა ახსოვდეთ რომ მეყველ ებთ არტელის დამაარსებელია უ. ვერეშჩაგინი; ისიც უნდა იცოდნენ, ვინ არის ვერეშჩაგინი და რამდენი ტანჯვა და შრომა გადიტანა იმან თავის აზრის დასაარსებლად; მაშასადამე ჩვენ საჭიროდ არ ვხედავთ, ხელახლავ გავიმეოროთ ერთი და ერგივ. ჩვენ მხოლოდ ვიტყვით იმას, რომ პირველი მეყველ ებთ ამხანაგობის ქარხანა დაარსა უ. ვერეშჩაგინმა 1866-ს წელს ორმოცდა თის ფურის რძით ამავე წელს ამ ქარხანის შამოსავალი, ხარჯს გარდა, იყო 390 მანეთი, მეორე წელს სამი სხვა ქარხანა მოემატა და ოთხი ქარხნის შამოსავალი იყო 2,800 მანეთი. 1868-ს წელს თორმეტ ქარხანამდის გაშენდა სხვა და სხვა სოფლებში და იმავე წელს ყველა თორმეტი არტელის წევრებს ერგოთ 8,000 მანეთი. ახლა კი სულ ოცდახუთი ქარხანა სხვა და სხვა გუბერნიებში: ტვერის გუბერნიაშია — 9, ნოვგოროდის გუბერნიაში — 3, იაროსლავის — 10, ვიატკის — 3. 1870 წელს ამ ოცდახუთი ქარხანის ნაწარმოები ყველი, ერბო, თუ სხვა რამე შემოსავალი იყო 600,864 მანეთი და 35%, კაპანეკი საშუალო რიცხვით, სადაც ეს არტელებია, თითო ფური წელიწადში აძლევს თავის პატრონს 25 მანეთს, ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალს.

აქედგან ცხადად ვხედავთ, რომ მეყველ ებთ არტელი დღე და დღე მატულობს როგორც რიცხვით, ვერეთვე შემოსავლით, თან და თან უადვილდებათ არტელის წევრებს სახსარი მათის შამოსავლისა და ძრიელ ადვილად იხდიან ერთის ფურის შემოსავლიდგან წლის სახელმწიფო და საბატონო გარდასახადს; მაშასადამე თან და თან ბოლო ეღება იმ უსინდისო ფულის ვამპირებს, სპეკულიანტებს, რომლებიც არტელის შამოღებამდის საგებლობდნენ გლეხების გაჭირვებით და სიღარიბით და ასე ხედნენ ფულებს გასაოცარი სარგებლით, ბოლოსკი ეალში ოჯახის საჭირო სამკაულს უყიდიდენ. ამასთან ესეც უნდა დაუმატოთ, რომ ყველა არტელის წევრები, ფულის მიღების დროს, 5% იქავე სტოვებენ საზოგადო კასაში, რომლითაც გროვდება კარგი ძალი ფული (მეოცი ქარხანები, სადაც შეიდი-რვა ათასი მანეთია საზოგადო ფული), საიდანაც შეუძლია თითო ეულს წევრს გაჭირვების დროს გამოიტანოს 20-იდგან 200 მანეთამდის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიაც არ დასუსტდება მეყველ ებთ არტელი, როგორც ზოგიერთი სხვა ამისთანები და მალე შეიძლება მიაღწიოს იმ სისრულეს, როგორც ევროპაშია, მით უმეტეს, რომ მთავრობამ, ეგრეთვე მეურნეობის საზოგადოებამ, სხვა და სხვა ერობამ და კერძო პირებმაც მიიღეს დიდი მზრუნველობა იმათ გაუმჯობესობაში: მაგალითად, 1871 წლიდგან უმაღლესის ბრძანებით უნდა ეძლიოს ყ ვერეშჩაგინს ექვსის წლის განმავლობაში 15,000 მანეთი ყოველწლივ მეყველ ებთ შკოლის გასამართავად. ამას გარდა ტვერის ერობამ მისცა უფასოდ ერთი დიდი სახლი შკოლისთვის და 5000 მანეთი იმის გასამართავად. თავისუფალ ეკონომიურმა საზოგადოებამ პეტერბურღში პირველიდგანვე გადადვა ამ საქმისათვის 25,000 მანეთი, რომლისაგან შეეძლიანთ აიღონ ეალად, ძრიელ ცოტა სარგებლით და ექვსი წლის ვადით, ყველას ეისაც უნდა მეყველ ების ამხანაგობის გამართვა. ამავე საზოგადოებამ თავის ხარჯით გაუკეთა მეყველ ებთ ამხანაგობას პეტერბურღში დეპანუ მაღაზია, სადაც ისყიდება მათი ნაწარმოები. 1868 წლიდგან ტვერის ერობამ გარდადვა 5000 მანეთი, რომლისაგან შეეძლოთ აეღოთ სესხი ქარხნის გასაუმჯობესებლად და 7,500 მანეთი ახალი ქარხნების გასაშენებლად. ამავე მაგალითს მიჰყვა ბევრი სხვა ერობების ერობაც, მაგალითად, იაროსლავის ერობა, რომელიც აძლევდა და ეხლაც აძლევს პრემიას (ჯილდოს) 500 მანეთს ვინც პირველს ქარხანას გამართავს, 300 მ. ვინც მეორეს და 200 მანეთს, ვინც მესამეს. ამასთანავე ყოველ წლობით აძლევს 600 მანეთს ათი შაგირდის მეყველის გასაზრდელათ — და ბევრი სხვა. კერძო პირებმაც მიაქციეს ყურადღება ამ საქმესა და იმათაც მიიღეს შრომა, რომ დახმარებოდენ ვერეშჩაგინს საქმის უფრო მარჯვეთ წასაყვანად; მაგალითად, უფ. ბლანდოვი და ბირულოვი დიდის მუყაიოთ ამრავლებენ ქარხანებს იაროსლავის გუბერნიაში.

დიდათ სასურველი და სასიამოვნო იქნება, რომ ჩვენც მიგბაძოთ ვერეშჩაგინის მაგალითს და დაეაარსოთ საქართველოშიაც მეყველ ებთ არტელი, ამხანაგობა, რომ ამითი გაგვეღვიძებინა, როგორც დიდ მემამულებში, აგრეთვე დაბალ ხალხში, სურვილი ერთად საქმის დაწყებისა და საფუძვლიანი შრომისა; ეს საქმე, ვფიქრობ, აქაც დიდს სარგებლობას შესძენდა მეწარმოებლებს, მით უმეტეს რომ ჩვენი საქართველოს ბუნების სიუხვეს, როგორც საძოვრით, ეგრეთვე საქონლითაც რუსეთი, ვიტყვი თამამად, ვერასოდეს ვერ შეედრება, განსაკუთრებით თუ ჯეროვანი ყურადღება იქმნა მიქცეული ამ საქმეზე და თუ საფუძლიანათ დაარსდა. რაიცა შეეხება შემწეობას და დახმარებას ამ საქმეში მართებლობის, თუ საზოგადოების მხრით, მგონი, არც ჩვენ დავრჩებოდით უყურადღებოთ და შეუწევნელად. უეჭველად, როგორც მართებლობა, ვგრეთვე სამეურნეო საზოგადოებაცა მიბაძვიდა რუსეთის საზოგადოებას და ჩვენც დაგვეშველებოდა ამ საქმის რიგიანად წაყვანაზე. რადგან ჩვენი მხარე, ყველა ბუნებით სიმდიდრესთან, ძრიელ გაჭირვებაში და სიღარიბეშია და მეტად საჭიროებს ამგვარ დაწესებაებს.

Дозволено цензурою Тифлисъ 20 Апрѣля 1872 г. ბ. წერეთლის და ამხ. (ფუნდარის.) ტფილ. რედ. გამომცემელი ბ. წერეთელი.